პროექტი

განკარგულება

,,მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ,,მერების შეთანხმება აღმოსავლეთი"-ს პროექტის ფარგლებში ხელი მოაწეროს და შეერთდეს მერების ახალ შეთანხმებას.

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: **თამარ ახალაძე**

დასკვნა

„მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

განკარგულების პროექტზე

„მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება. ასევე შესაბამისობაშა ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება აგრეთვე ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები

წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების

მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში: **მარიტა მგალობლიშვილი**